საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კრიპტოლემუსი

კრიპტოლემუსი

კრიპტოლემუსი (Cryptolaemus montrouzieri), ხოჭო ჭიამაიების ოჯახისა. ცრუფარიანების ბუნებრივი გამანადგურებელია. მისი სამშობლოა ავსტრალია. საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, 1933 შემოიყვანეს ციტრუსოვანთა ფქვილისებრი ცრუფარიანას გასანადგურებლად. დედალი კ. ცრუფარიანას კვერცხსადებში 300-მდე კვერცხს დებს. ახალგამოჩეკილი მატლი ჭამს ცრუფარიანას კვერცხებს, მოზრდილი მატლი და ხოჭო კი – ცრუფარიანას და მის მატლებს. კ. წელიწადში 3 თაობას იძლევა (აფხაზეთი). ზამთარში ამრავლებენ ლაბორატორიაში კარტოფილის ღივებზე, შემდეგ კი ცრუფარიანას პირველი კვერცხმდებელი თაობის გამოჩენისთანავე უშვებენ ბაღებსა და პლანტაციებში.